სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

EUGEORGIA.INFO: „ბაზრის და ფინანსების ხელმისაწვდომობა, ახალი სტანდარტები და მცირე ფერმები - გამოწვევა ფერმერების და პოლიტიკოსებისთვის“

ქართველი ფერმერების მე-2 ყრილობა გაიმართა ორი თვის წინ სურსათის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც ორგანიზებული იყო ევროკავშირის და გერმანული ორგანიზაციის Brot fur die Welt მხარდაჭერით და Oxfam-ის და „ელკანა“-ს (ორგანული ფერმების ასოციაცია) ჩართულობით, იუწყება Eugeorgia.Info. ყრილობაზე ფერმერების 3 ძირითადი პრობლემა დაადგინეს: ბაზრის ხელმისაწვდომობა; საინვესტიციო რესურსების ხელმისაწვდომობა; სურსათის უვნებლობის სისტემის რეფორმების გავლენა მცირე ფერმერებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე. Oxfam-ის პროექტის მენეჯერმა ლევან დადიანმა განაცხადა, რომ სამივე გამოწვევა ურთიერთდაკავშირებულია და უნდა გადაიჭრას კომპლექსურად. „მაგალითად, საინვესტიციო რესურსები აუცილებელია წარმოებისთვის, ხოლო ბაზარზე დაშვება - პროდუქციის რეალიზაციისთვის. უსაფრთხოების სტანდარტებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ფერმერები ვერ შეძლებენ გაყიდონ პროდუქცია 2020 წლიდან", განაცხადა მან. თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილი ირწმუნება, რომ „ყველა ეს მიმართულება აღწერილია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში და ყველა პოზიცია თანმიმდევრულად სრულდება“. „ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ჩვენ ხელოვნურად ვერ ამოვიღებთ ე.წ. „გადამყიდველებს“ საქონლის მიმოქცევის ჯაჭვიდან“, განაცხადა ცოფურაშვილმა და დასძინა: „ერთადერთი შესაძლებელი ვერსია ის არის, რაც ხდება ესპანეთში. Mercasa არის ორგანიზაცია, რომელიც შეისყიდის პროდუქციას ფერმერებისგან და აწვდის მას სუპერმარკეტებს“. „ჩვენ გვაქვს თითქმის 700 000 საოჯახო ფერმა და მათ 70%-ს აქვს 1 ჰა ან ნაკლები მიწის ნაკვეთები. ბუნებრივია, ასეთ ფერმებს აქვთ პრობლემები ბანკებთან და ექნებათ მომავალშიც“, აცხადებს ცოფურაშვილი. მინისტრის მოადგილე ხედავს გამოსავალს მიწების უფასო რეგისტრაციაში. „როცა სახელმწიფო დაადგენს, სად და რა მიწის ნაკვეთებს ფლობს, ამ ნაკვეთების პოტენციალი ასევე დადგინდება“, აღნიშნავს ის. კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ ფერმერები ძალიან ცუდად არიან ინფორმირებული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ იქნება ევროკავშირთან სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესის ფარგლებში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნების შესაბამისად, აცხადებს ავტორი. ამავე დროს, ფერმერები მოითხოვენ ნაწილობრივ სახელმწიფო სუბსიდირებას საწარმოების სერტიფიცირების დროს. ისინი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ბიოლოგიური სერტიფიცირების პროგრამა, ნათქვამია სტატიაში.

Sarke Information News, 9 აგვისტო, 2016.

მოცვი დარგულია 10 ჰექტარზე გურიაში პროგრამის „დარგე მომავალი“ ფარგლებში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, სამთავრობო პროგრამის „დარგე მომავალი“ ფარგლებში კომპანიებმა „ლურჯი ველი“ (Blue Valley) და „მოცვი“ (Blueberry) თითოეულმა მოცვი დარგეს 5 ჰა ფართობზე დაბა ლაითურში (ოზურგეთის რაიონი, გურია). კომპანიები წელს შეუერთდნენ პროგრამას, რომელიც დაიწყო 2015 წელს. კომპანიებმა სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს 75 000 ლარი პლანტაციების გასაშენებლად და სარწყავი სისტემების მოსაწყობად, განაცხადეს სამინისტროში და მიუთითეს, რომ სულ 66 096 ლარი იქნა გათვალისწინებული ნერგებისთვის, ხოლო 8 903 ლარი - წვეთოვანი სარწყავი სისტემებისთვის. სამინისიტროს ცნობით პროგრამის „დარგე მომავალი“ ფარგლებში გურიაში ბაღები დაირგო 24

ჰა-ზე, ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით - 1 438 ჰა-ზე. სულ დაფინანსების მოცულობა აღემატება 7,4 მილიონ ლარს.
Sarke Information News, 4 აგვისტო, 2016

2-წლიანი პროგრამა დაიწყება ENPARD-ის ფარგლებში
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში შომბი შარპმა და მინისტრმა ოთარ დანელიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას 2-წლიანი პროგრამის დაწყების თაობაზე. პროგრამის ბიუჯეტი 6,8 მლნ ლარია (2,63 მილიონი ევრო). აქედან 95% გათვალისწინებულია ევროკავშირის, ხოლო 5% - აჭარის მთავრობის მიერ. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2-წლიანი ინიციატივა ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების (ENPARD) ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში, რომლის მეორე ეტაპი დაიწყო საქართველოში ერთი თვის წინ. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება მთლიანად საქართველოს და, კერძოდ, აჭარისთვისაც და ამ სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელების უფრო მეტი მხარდაჭერა, განაცხადეს სამინისტროში.
Sarke Information News, 3 აგვისტო, 2016

Miller Group 90 000 ლარის ინვესტირებას აპირებს მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში ონში
მთავრობის განკარგულების მიხედვით, LLC Miller Group 90 000 ლარის ინვესტიციას ჩადებს საქონლის ფერმაში ონის მუნიციპალიტეტში (რაჭაში). ამ მიზნით, 72,06 ჰა საძოვარი სოფელ ფარახეთში გადაეცა კომპანიას 25-წლიანი იჯარით. წლიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 1 080 ლარს. 24 თვის განმავლობაში შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ Miller Group-მა უნდა ააგოს ფერმა არანაკლებ 60 სულ საქონელზე 6 506 კვ. მეტრზე. საჯარო რეესტრის ინფორმაციით, LLC Miller Group დარეგისტრირდა 2014 წლის ბოლოს თბილისში. მისი ერთადერთი მფლობელია ირაკლი გვენეტაძე.
Sarke Information News, 18 ივლისი, 2016

მიწის ნაკვეთები იჯარით გადაეცა კომპანიას „ახალი ქართული ჩაი“
მთავრობის დადგენილების მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები გადაეცა „ახალ ქართულ ჩაის“ სახელმწიფო პროგრამის „საქართველოს ჩაი“ ფარგლებში. საქმე ეხება 4 მიწის ნაკვეთს საერთო ფართობით 53,53 ჰა, რომელიც მდებარეობს დაბა ლაითურში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, გურიის რეგიონი). მიწის ნაკვეთი გადაეცა კომპანიას ჩაის წარმოებისთვის 25 წლის განმავლობაში, წლიური საიჯარო საფასურით 2 677 ლარი.
Sarke Information News, 14 ივლისი, 2016

იოჰანეს ჰანი: ევროკავშირი აქტიურად ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში
საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა საქართველოში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ „ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში“. „ეს დაფინანსება მოიცავს სულ 250 მილიონს და გათვლილია 2013-2020 წლებზე“, აღნიშნა ჰანმა. პროგრამის ფარგლებში 10 000 ფერმერმა უკვე მიიღო დახმარება, აღნიშნა მან. ჰანმა ისაუბრა აღნიშნულის შესახებ კოოპერატივში „ლურჯა 2015“ და აჭარის აგროსერვის ცენტრში სტუმრობისას დღეს (კვოტები წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშის შესაბამისად). როგორც სამინისტროში მიუთითეს, აღნიშნულმა კოოპერატივმა მოაწყო უახლესი წვეთოვანი სარწყავი სისტემები და სხვა ტექნიკური საშუალებები ENPARD-ის საგრანტო პროგრამის მეშვეობით, ასევე შეიძინა მარწყვისა და ჟოლოს ნერგები.
Sarke Information News, 14 ივლისი, 2016

„იწის წყალი“ გახსნის უალკოჰოლო სასმელების ქარხანას ამბროლაურში

მთავრობის ცნობით, შპს „იწის წყალი“ გახსნის უალკოჰოლო სასმელების ქარხანას ამბროლაურში (რაჭის რეგიონი) სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. ამ მიზნით არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ამბროლაურში გადაეცემა კომპანიას სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. კომპანია გეგმავს 233 200 ლარის ინვესტირებას და წარმოების დაწყებას 2 წლის განმავლობაში, განაცხადეს მთავრობაში. კომპანიის ცნობით, ქარხანა შეძლებს 5 მილიონი ლიტრი მინერალური და წყაროს წყლების ჩამოსხმას ყოველწლიურად. პროდუქციის დიდი ნაწილი გავა ექსპორტზე. ქარხანა დაასაქმებს 30 ადამიანს. გარდა ამისა, მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც შპს Construct Vision დაიწყებს მინის და პლასტიკის წარმოებას თბილისში. ამ მიზნით, სახელმწიფო გადასცემს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს შენობებით დიდი ლილოს დასახლებაში პირდაპირი მიყიდვით 326 000 ლარად. კომპანია მოახდენს 700 000 ლარის ინვესტირებას და დაასაქმებს 70 ადამიანს, მათ შორის 20 ყოფილ მსჯავრდებულს, განაცხადეს მთავრობაში.

Sarke Information News, 13 ივლისი, 2016

მთავრობა რთველის სუბსიდირებას წელსაც მოახდენს

მთავრობამ გადაწყვიტა ყურძნის სუბსიდირება წელსაც. მთავრობის დღევანდელი სხდომის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა: „მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მოხდება სხვადასხვა განფასებით სხვადასხვა ჯიშების სუბსიდირიება“. „იმედი გვაქვს, რომ წელს ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩება“, დასძინა მან. კვირიკაშვილის თქმით, „გარდამავალ პერიოდში, სანამ ბაზარს მოვიპოვებთ, იმისთვის რომ ადგილობრივი ნაწარმი მთლიანად გავყიდოთ, ჩვენ დავგვჭირდება ექსპორტის გაფართოების დაფინანსება, ასევე ჩვენ უნდა მოვახდინოთ ადგილობრივი წარმოების სუბსიდირება“. „საბოლოო ჯამში მთავრობა ამ სფეროს სუბსიდიიდან გამოვა“, აღნიშნა მან. პრემიერმა განაცხადა, რომ ქართული ღვინის ექსპორტი 44%-ით არის გაზრდილი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, სახელმწიფო სუბსიდია 2016 წლის რთველზე იქნება 45 თეთრი 1 კგ რქაწითელზე და კახურ მწვანეზე (თეთრი ყურძნის ჯიშები), ხოლო 1 კგ საფერავზე - 20 თეთრი, 1 კგ ალექსანდროულზე და მუჯურეთულზე - 2 ლარი (წითელი ყურძნის ჯიშები). წინა წლის მსგავსად, სუბსიდიას მიიღებენ უშუალოდ მევენახეები და არა ღვინის კომპანიები, განაცხადეს სამინისტროში და აღნიშნეს, რომ 100 საწარმო შეიძენს ყურძენს ამ წლის რთველის დროს. სამინისტროს ვარაუდით, ყურძნის მოსავალი 180 000 ტონა იქნება წელს.

Sarke Information News, 13 ივლისი, 2016

ჰოლანდიური კვლევითი ინსტიტუტი - ევროკავშირში მოთხოვნა წიწაკაზე იზრდება

ჰოლანდიური კვლევითი ინსტიტუტი CBI წერს, რომ ევროკავშირში წიწაკის ბაზარი განვითარებად ქვეყნებს დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს. 2014 წელს წიწაკის იმპორტი ევროპაში შეადგენდა 63 000 ტონას, რაც 386 მილიონი ევროა, და აქედან 99% შემოვიდა განვითარებადი ქვეყნებიდან. ყველაზე დიდი ექსპორტიორი ვიეტნამია, შემდეგ კი ბრაზილია, ინდოეთი და ინდონეზია. 2010-2014 წლებში ევროკავშირში იმპორტირებული დაფქვილი წიწაკის საშუალო ფასმა 85%-ით მოიმატა. ქართულ წიწაკასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევით ცენტრში განაცხადეს Eugeorgia.Info-სთან, რომ „მეცნიერულად დამტკიცებული და ცნობილია, რომ ქართულ წიწაკაში კაფსიცინის შემცველობა არის შედარებით მაღალი, რაც მის კარგ გემოსა და სიცხარეს განაპირობებს. არის ბევრი სხვადასხვა ჯიში, განსაკუთრებით ცნობილი კი მეგრულია“. სტატიაში ვკითხულობთ, რომ წიწაკა, სხვა მწარმოებლებთან ერთად, თუმცა მცირე რაოდენობით, საქართველოში შპს „ჰერბიას“ მოჰყავს, რომელიც ქართულ მწვანილს ევროპის ბაზრებზე ყიდის. კომპანიამ დანერგა GLOBAL GAP-ის სტანდარტი და ნაწარმის მცირე მოცულობას ევროკავშირის ბაზარზე აწვდის (ბალტიის ქვეყნებში და ბულგარეთში). როგორც კომპანიის დამფუძნებელმა ზურაბ ჯანელიძემ განაცხადა, მათ არ შეუძლიათ ამ სტადიაზე წიწაკაზე მუშაობა. „ჩვენს მწვანილზე მოთხოვნა იმდენად

დიდია, რომ ჩვენ ვერ ვაწარმოებთ შესაბამის რაოდენობას“, განაცხადა მან და დასძინა: „თუ ევროპას ექნება მოთხოვნა ზამთარში, საქართველოსთვის ეს რთული იქნება, რადგან თითქმის არ არსებობს გამთბარი სათბურები“. ამ კუთხით „ძალიან დიდი ინვესტიცია იქნება აუცილებელი“, აცხადებს ის.
Sarke Information News, 12 ივლისი, 2016

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი მკვეთრად გაიზარდა
სომხეთის ახალი ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი, რომელიც იგზავნება ძირითადად რუსეთში, თითქმის გაორმაგდა პირველი ხუთი თვის განმავლობაში, იტყობინება სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური (NSS). სამთავრობო სააგენტო ასევე გვაცნობებს ამ კვირაში, რომ საექსპორტო შემოსავალი ალკოჰოლური სასმელებიდან და მზა საკვებიდან მნიშვნელოვნად იზრდება. რუსეთი არის მთავარი საექსპორტო ბაზარი ამ პროდუქციაზე. NSS-ის მონაცემებმა დაადგინა სომხეთის ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის კომბინირებული საბაზრო ღირებულება 2016 წლის იანვარ-მაისში, რამაც დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, 2015 წელს 16,8 მლნ აშშ დოლარი იყო იმავე პერიოდში. სომხეთის საერთო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გაიზარდა მხოლოდ 8 პროცენტით ერთი წლის განმავლობაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი გაყიდვების წილი საზღვარგარეთ, პირველ რიგში - რუსეთში - გაცილებით სწრაფად იზრდება. მთავრობის წარმომადგენლები ერევანში მიიჩნევენ, რომ ეს ტენდენცია დაწყებულია სომხეთის წევრობასთან ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში (EEU) 2015 წლის იანვრიდან. სომხეთის ექსპორტი რუსეთში დაეცა თითქმის 27 პროცენტით 2015 წელს პირველ რიგში რუსული რუბლის მკვეთრი გაუფასურების გამო. ნავთობის ფასების აწევის შემდეგ იანვარში რუსეთის ვალუტა გამყარდა თითქმის 20 პროცენტით აშშ დოლართან წლის დასაწყისიდან, რაც ნიშნავს მეტ შემოსავალს სომეხი ექსპორტიორებისთვის. NSS-ის ცნობით, სომხეთის მთლიანი ექსპორტი რუსეთში გაორმაგდა წლის განმავლობაში 132,4 მილიონ აშშ დოლარამდე 2016 წლის იანვარ-მაისისთვის. მოსკოვში EEU-ს აღმასრულებელ ორგანოზე დაყრდნობით, ერევნის გაზეთის „168 Zham“ ცნობით, სომხურ კონიაკს, რომელიც პოპულარულია რუსეთში, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი აქვს ამ მომატებაში. სომხეთის ოფიციალური სტატისტიკა აჩვენებს, რომ კონიაკის წარმოება ქვეყანაში გაიზარდა ნახევარზე მეტით ფიზიკურ გამოხატულებაში ხუთთვიან პერიოდში. სომხური კონიაკის და ღვინის ინდუსტრია ტრადიციულად ორიენტირებული იყო რუსულ ბაზარზე და სერიოზულად დაზარალდა რუბლის გაუფასურებით შარშან. „168 Zham“ ასევე წერს, რომ სომხეთის პომიდორის ექსპორტი რუსეთში და EEU-ს წევრ სხვა ქვეყნებში ათჯერ გაიზარდა. რუსეთის მთავრობის აკრძალვამ თურქეთიდან სასოფლო-სამეურნეო იმპორტზე, რომლის შემოღება მოხდა გასული წლის ბოლოს, აშკარად შეუწყო ხელი ამ უპრეცედენტო ზრდას. სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა 22 ივნისს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სომხეთმა ექსპორტზე 63 700 ტონა ხილი და ბოსტნეული გაიტანა ჯერ-ჯერობით ამ წელიწადში 76 700 ტონასთან შედარებით მთელი 2015 წლის განმავლობაში. გარგარი შეადგენდა საერთო მოცულობის თითქმის 10 პროცენტს და ექსპორტი გაორმაგდა ფიზიკურ გამოხატულებაში იანვარ-მაისში. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიესალმა საკვების და სასმელის იმპორტის ზრდას სომხეთიდან, 20 ივნისს შეხვედრაზე თავის სომეხ კოლეგა სერჟ სარქისიანთან, სანკტ-პეტერბურგში. პუტინმა ეს სიახლე მიაწერა „ინტეგრაციის პროცესებს“ ორ ქვეყანას შორის და ნათლად მიუთითა, რომ ეს სომხეთის EEU-ში გაწევრიანების შედეგია.
Radio Free Europe/Radio Liberty, 5 ივლისი

სომხური კომპანიები მზად არიან შეიძინონ 71 300 ტონა ხილი და ბოსტნეული

სომხეთის სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი კომპანიები მზად არიან შეისყიდონ წელს 71 300 ტონა ხილი და ბოსტნეული, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განაცხადა დღეს. მისი თქმით, კომპანიები მზად არიან იყიდონ 48 000 ტონა პომიდორი, 6 472 ტონა ვაშლი, 5 334 ტონა ატამი და 7 640 ტონა გარგარი. მან განაცხადა, რომ წლევანდელი მოთხოვნა 35%-ით (34 000 ტონა) უფრო მაღალია, ვიდრე საერთო ფაქტობრივი შესყიდვები 2015 წელს. „ყინვების და სეტყვის მიუხედავად ადრე გაზაფხულზე, წელს სოფლის მეურნეობისთვის საკმაოდ კარგი სიტუაციაა, თუმცა, საბოლოო დასკვნები ჯერ კიდევ ნაადრევია“, განაცხადა მაკარიანმა. მისი თქმით, პომიდორის საბითუმო მყიდველები იხდიან 33-35 დრამს ერთ კგ-ზე. მინისტრის მოადგილის თქმით, სომხეთი 120 000 ტონამდე ხილის და ბოსტნეულის ექსპორტს გეგმავს. მისი სიტყვებით, 9 აგვისტოს მდგომარეობით, სომხურმა კომპანიებმნა და ფერმერებმა 85 326 ტონა ახალი ხილი და ბოსტნეული გაიტანეს ექსპორტზე (49 800 ტონა იყო იმავე პერიოდში 2015 წელს). მაკარიანმა განაცხადა, რომ ხილის და ბოსტნეულის მთლიანი ექსპორტის 85% წავიდა რუსეთში (73 300 ტონა), 7 4000 ტონა - საქართველოში, 4 500 ტონა ბელორუსში, 267 ტონა ერაყში და 60 ტონა UAE-ში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, სომხეთის სოფლის მეურნეობის მშპ 2015 წელს შეადგენდა ერთ ტრილიონ დრამს. (1 აშშ დოლარი - 476,14 დრამი).

9 აგვისტო, ARKA

სომხეთის მევენახეობისა და მეღვინეობის ფონდი მალე ამოქმედება

სომხეთის მევენახეობის და მეღვინეობის ახლადშექმნილი ფონდი დაიწყებს აქტიურ მუშაობას მალე, სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე რობერტ მაკარიანმა განუცხადა ჟურნალისტებს სამშაბათს. ფონდი დაფუძნდა მთავრობის დავალებით სომხეთის მეღვინეობის პროდუქციის ზრდის დახმარების მიზნით. მაკარიანმა განაცხადა, რომ ფონდის საქმიანობის შედეგი მომავალი წლის დასაწყისში იქნება და ახლა დაიწყება მუშაობა სომხეთის ღვინის ბრენდებზე, ბაზრების განვითარებასა და დივერსიფიკაციაზე და გამოფენებში მონაწილეობის ორგანიზებაზე. „განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ევროპას, რათა არ იყოს კონცენტრირება მხოლოდ ერთ ბაზარზე, რადგან ახლა ჩვენ ძალიან დამოკიდებული ვართ რუსეთის ბაზარზე“, განაცხადა მან. სომხეთის საბაჟო სამსახურის ცნობით, ქვეყნის ღვინის ექსპორტი შემცირდა 31,5%-ით საწყისი 2 120 700 ლიტრიდან 2014 წელს 1 451 600 ლიტრამდე 2015 წელს. ღვინის ექსპორტის საბაჟო ღირებულება იყო 4,1 მილიონი აშშ დოლარი 2015 წელს და 6,3 მილიონი აშშ დოლარი - ერთი წლით ადრე. სომხეთი აგზავნის რუსეთში ღვინის ექსპორტის 79%-ს - 1 150 600 ლიტრს, რამაც 2,9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა 2015 წელს და 1 713 800 ლიტრი, ე.ი. 4,4 მილიონი აშშ დოლარი - 2014 წელს. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური აცხადებს, რომ ღვინის წარმოება შემცირდა 4%-ით 5 931 900 ლიტრამდე 2015 წელს (1 აშშ დოლარი - 476,14 დრამი).

11 აგვისტო, ARKA

სომხეთის ახალი ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი EEU-ში 90%-ით გაიზარდა

2016 წლის 12 აგვისტოს მდგომარეობით სომხეთის ახალი ხილის და ბოსტნეულის ექსპორტმა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EEU) წევრ სახელმწიფოებში 90%-იანი ზრდა აჩვენა შესაბამის პერიოდთან შედარებით გასულ წელს, განუცხადა სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე არმენ არუთუნიანმა ჟურნალისტებს პარასკევს. „EEU არის ყველაზე მოსახერხებელი ბაზარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის ამჟამად. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ორიენტირებულია ექსპორტზე“, განაცხადა მან. სამინისტრო მუშაობს EEU-სთან სხვადასხვა ფორმატში. „ჩვენ ასევე ვაუმჯობესებთ ჩვენი კვლევითი ინსტიტუტების ეფექტიანობას. ცოტა ხნის წინ განვიხილეთ პროდუქტების ბირჟების შექმნის საკითხი. უფრო მეტიც, იდება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან“, განაცხადა ბატონმა არუთუნიანმა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ცოტა ხნის

წინ ხელმოწერილი იყო ვიეტნამში, თუმცა დოკუმენტი ჯერ არ გამოქვეყნებულა. კითხვაზე, რუსეთში ექსპორტი თუ არის ექსპორტის 90%-ით ზრდის მიზეზი და რა კეთდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისთვის EEU-ს სხვა წევრ ქვეყნებში, ბატონმა არუთუნიანმა განაცხადა, რომ ახალი ხილის და ბოსტნეულის ექსპორტი არის ზრდის ძირითადი მიზეზი. „ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ექსპორტის ორგანიზებაზე სხვა წევრ სახელმწიფოებში. მე ვფიქრობ, რომ ზრდის მიზეზი არის ყველა სახის პროცედურები - სურსათის უვნებლობა, საბაჟო კონტროლი და სხვა, რაც საშუალებას აძლევს მცირე და საშუალო მეწარმეებს შევიდნენ EEU-ს ბაზარზე“, განაცხადა არუთუნიანმა. მთავრობათაშორისი კომისია გამართავს შეხვედრას ლოგისტიკური საკითხების განსახილველად. „ეს კეთდება იმისათვის, რომ სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი განხორციელდეს ყაზახეთში“, განაცხადა ბატონმა არუთუნიანმა. მუშაობა მიმდინარეობს სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ორგანიზებაზე სხვა ქვეყნებში და შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მალე მოეწერება ხელი ათ ქვეყანასთან.
12 აგვისტო, Tert.am

სომხეთში ფერმის პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია მოხდება და ნომერი მიენიჭება
3-წლიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პირუტყვის ინვენტარიზაციას სომხეთში, ავსტრიისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოების დახმარებით შეიქმნა და დაიწყება 2017 წელს, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე არმენ არუთუნიანმა დღეს. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ხელისუფლებამ უკვე განახორციელა რიგი განვითარების პროგრამები, რომლების ფარგლებშიც განახლდა ვეტერინა-რული სამსახურები, სასაკლაოები და ლაბორატორიები. „დღეს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა პირუტყვის იდენტიფიკაცია და ნომრის მინიჭება. ამის მიზანია ხორცის პროდუქ-ტების კონტროლი, ხარისხის გაუმჯობესება და უსაფრთხოება“, განაცხადა არუთუნიანმა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც დაინერგება ახალი სისტემა, ფერმერები ვერ შეძლებენ გაყიდონ არარეგისტრირებული პირუტყვის ხორცი და მოხდება ხორცის მარკირება მთელი ქვეყნის მასშტაბით. „ეს ასევე საშუალებას მოგვცემს უცებ აღმოვაჩინოთ შესაძლო დაავადებების წყაროები, დავნერგოთ სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემა, რაც გაზრდის გარანტიებს ფერმერებისთვის“, განაცხადა არუთუნიანმა. ფერმის ცხოველების რეგისტრაციის და ნომრის მინიჭების ინიციატივა ეკუთვნის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახურს. ფერმის ყველა ცხოველს ექნება სპეციალური ფიქსირებული საყურე ნიშანი კოდირებული ინფორმაციით. პირუტყვის რეგისტრაციის და ნომრის მინიჭების საპილოტე პროექტი განხორციელდა უკვე ვაიოც ძორის პროვინციაში და მოიცვა დაახლოებით 23 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.
12 აგვისტო, ARKA

სომხეთი დანერგავს სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემას
სომხეთი დანერგავს სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემას, სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე არუთუნიანმა ჟურნალისტებს განუცხადა პარასკევს. მისი თქმით, სისტემის დანერგვის მეთოდოლოგია უკვე განიხილეს და შეადგინეს სომხეთის ცენტრალური ბანკის მხარდაჭერით. „ამჟამად საჭირო ფინანსური შეფასება ხორციელდება და სხვადასხვა ინსტრუმენტები მუშავდება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით“, განაცხადა მან. არუთუნიანმა განაცხადა ასევე, რომ პირველი საპილოტე პროგრამა დაინერგება სომხეთში 2017 წელს, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის მეხილეობის და მემცენარეობის სეგმენტებში და 2017 წლის ბოლოს ასევე მეცხოველეობის სეგმენტში. „ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია, რამდენად ეფექტურად იმუშავებს ეს სისტემა სომხეთში. ის მიზნად ისახავს საუკეთესო გამოცდილების დანერგვას ქვეყანაში“, განაცხადა მან. მინისტრის მოადგილემ განაცხადა ასევე, რომ შეირჩევა ის სისტემა, რომელიც მოერგება სომხეთის საჭიროებებს მაქსიმალურად. არუთუნიანმა განაცხადა, რომ რიგ პროვინციებში შეიქმნება აუცილებელი

ინფრასტრუქტურა ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცვისთვის. სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემის შემოღება უკვე დიდი ხანია განიხილება სომხეთში, მაგრამ იდეა არ განხორციელდა ჯერჯერობით.
15 აგვისტო, ARKA

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2016 წლის ივლისის #47 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date
Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/